ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №14

25 ივლისი, 2018 თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
11:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
3. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
4. დავით უჯმაჯურიძე - კომისიის წევრი;
5. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
6. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
7. ირაკლი ნადირაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ (12-03181862-03, 05.07.2018).

კომისიის სხდომა ჩაითვალა უფლებამოსილად და შეუდგა მუშაობას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად.

მომხსენებლები:

- **მერაბ ბოლქვაძე** - ა(ა)იპ ,,სითი ინსტიტუტი საქართველო“

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **თედო ისაკაძე.**

კომისიის სხდომა გაიმართა ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიებთან ერთად.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

თ.ისაკაძე - წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“.

ი.ნადირაძე - გენერალური გეგმის პროექტში ქალაქის წყალმომარაგებასთან დაკავშირებით მითითებულია, რომ მიზანშეწონილია დაწესდეს ყველა სამრეწველო საწარმოსათვის სასმელ-სამეურნეო წყლის ხარჯვის ლიმიტი და საჯარიმო სანქციები ლიმიტის ზევით დახარჯული წყლის ყოველ ერთეულზე. გარდა ამისა პროექტი გაზიფიკაციასთან დაკავშირებით იძლევა რეკომენდაციას, საწარმო-სამრეწველო ობიექტებისათვის მოხმარებითი ლიმიტის დაწესების და ლიმიტის გადაჭარბებისათვის შესაბამისი სატარიფო სანქციების განსაზღვრასთან დაკავშირებით. აღნიშნული ჩანაწერი მიუღებელია, აპირებთ თუ არა აღნიშნული ჩანაწერის ამოღებას.

მ.ბითაძე - წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება 1996 წლიდან დარეგულირებულია კანონმდებლობით და სანქციებიც უკვე არსებობს. საწარმოების მიერ წყლის მოხმარებაზე კანონმდებლობა 2009 წლიდან დაიხვეწა. თითოეულ საწარმოს უწესდება ტექნიკური რეგლამენტი და დარღვევის შემთხვევაში ხდება სანქციის შეფარდება. ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე გვაქვს ვალდებულება, რომ წყლის მართვის სისტემა უნდა იყოს ინტეგრირებული, გამომდინარე აქედან ჩანაწერი წყალმომარაგებასთან და გაზიფიკაციასთან დაკავშირებით რჩება გენერალური გეგმის პროექტში.

გ.ტყემალაძე - ჩანაწერი იდენტურია 2009 წლის გენერალურ გეგმაში არსებულ ჩანაწერთან. პროექტში იყო ხარვეზები, არაერთხელ განვიხილეთ და მაქსიმალურად გაუმჯობესებულ ვერსიას გთავაზობთ.

მ.ბითაძე - გენერალური გეგმა უნდა ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან, ამოქმედებამდე ჩასატარებელია სხვადასხვა კვლევები, მათ შორის ჩარჩო-გეგმებზე. დადგენილების მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით მერიას ევალება გამოვლენილი ხარვეზებისა და ფუნქციური ზონების (მათ შორის სატრანსპორტო ზონების) კორექტირების საკითხებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში შესაბამისი ცვლილებების 2018 წლის 31 დეკემბრამდე ასახვის მიზნით. 31 დეკემბრამდე უნდა მომზადდეს და საკრებულოს წარედგინოს რეგულაციები.

მ.მამულაშვილი - დავიწყებ გენერალური გეგმის სტრუქტურის აგებულებით. ქალაქმშენებლობითი სივრცე ორი ეტაპისგან შედგება, გენერალური გეგმა და განაშენიანების რეგულირების გეგმა. მუშაობის დროს გადავაწყდით სხვადასხვა პრობლემებს. მათ შორის ერთ-ერთი პრობლემაა ურბანული ცოცვა. აღნიშნული პრობლემა გამოიწვია იმან, რომ ბოლო 15 წელი უსისტემოდ გაიცემოდა მიწის ნაკვეთები და მშენებლობის ნებართვები. შემდეგი პრობლემაა ქალაქის ფრაგმენტაცია, რაც გულისხმობს საჯარო სივრცეების ხელყოფას, მაგალითად სკოლის ტერიტორიაზე შეჭრა და მშენებლობა.

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის კონცეფციის მიმართულებებია:

- **მწვანე ქალაქი** - ქალაქის ანთროპოგენული და ბუნებრივი გარემოს თანაზომადი დაცვა, გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება და საქალაქო სარეკრეაციო სისტემის სრულყოფა. „მწვანე ქალაქი“ არის

თბილისის გარემოსდაცვითი და სარეკრეაციო პირობების გაუმჯობესების ერთიანი კონცეფცია. მის ფარგლებში თბილისის ბუნებრივი და ხელქმნილი გარემო განიხილება ერთიან სისტემად და ხაზი ესმება მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებას. მოცემული მიმართულება გამოყოფს სამ ელემენტს რომელთა დაცვა და განვითარება პრიორიტეტულად უნდა განისაზღვროს. ეს ელემენტებია: მდ. მტკვარი და ქალაქის ნაშენი ნაწილის მასთან ისტორიული ურთიერთდამოკიდებულება, თბილისში არსებული მცირე მდინარეები, განაშენიანებული ნაწილის გარეთ არსებული თბილისის ლანდშაფტი, რომელიც ძირითადად გამოხატულია მთა-გორიანი რელიეფით.

- **შეკავშირებული ქალაქი** - თბილისის თითოეული მოსახლისათვის მარტივი და სწრაფი წვდომის უზრუნველყოფა ქალაქისათვის დამახასიათებელ ყველა სიკეთესთან. „კარგად შეკავშირებული ქალაქის“ კონცეფციის მიზანია უზრუნველყოს ადამიანის ქალაქის ნებისმიერი წერტილიდან მეორე წერტილამდე მგზავრობა მაქსიმალურად კომფორტულად და დროულად, მდგრადი პრინციპების, მათ შორის ინკლუზიურობისა და ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. თბილისისთვის აუცილებელია ერთი სატრანსპორტო დერეფანი მაინც. გარდა ამისა აუცილებელია რანჟირების შემოღება პარკირების დროს. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის თვალსაზრისით აუცილებელია ქალაქის შემოსასვლელებში ვიდეოთვალების დამონტაჟება. საქალაქო სატრანსპორტო საშუალებათა პრიორიტეტიზაცია უნდა მოხდეს შემდეგი თანმიმდევრობით:
  - საფეხმავლო, არამოტორიზირებული.
  - საჯარო ტრანსპორტი.
  - კერძო ტრანსპორტი.
- **კომპაქტური ქალაქი** - კომპაქტური ქალაქი - ექსტენსიური ტერიტორიული ზრდის შეზღუდვა და განვითარების მიმართვა ნაშენ, შიდასაქალაქო სივრცეზე. „კომპაქტური ქალაქი“ გულისხმობს ტერიტორიების მაქსიმალურად ეფექტიან გამოყენებას, მისი შეკავშირებულობის გაუმჯობესებით. მოცემული წარმოადგენს ქალაქგეგმარებით წინაპირობას დაბალანსებული საცხოვრებლის, დასაქმებისა და დასვენება-რეკრეაციის განვითარებისათის.
- **მედეგი ქალაქი** - ურბანული მედეგობა არის ინდივიდების, საზოგადოებების, ინსტიტუციების, ბიზნესის, სისტემებისა და მთლიანად ქალაქის უნარი გადარჩეს, ადაპტირდეს და გაიზარდოს მიუხედავად ყველა შესაძლო სტრესისა და შოკისა.

ი.ნადირაძე - დიდი მადლობა გაწეული სამუშაოსთვის. ყველანი ვთანხმდებით, რომ გენერალური გეგმის პროექტი კონცეპტუალურ დონეზე ძალიან კარგია,

მაგრამ კონკრეტული პროექტები ვერ ვნახეთ, მაგალითად როგორ უნდა განვითარდეს ტერიტორია მდინარე მტკვრის გარშემო. ამიტომ გთავაზობთ კონცეფციის სახით დავამტკიცოთ. კომპაქტური ქალაქის განვითარებისათვის აუცილებელია პოლიცენტრული განვითარება. გარდა ამისა გენერალური გეგმის წინა ვერსიაში იყო ჩანაწერი თბილისის ისტორიულ ნაწილში საგადასახადო შეღავათების კონცეფციაზე. საინტერესოა რატომ არ არის ჩანაწერი ამ შემთხვევაში.

მ.ბითაძე - კონცეფციის სახით ვერ დამტკიცდება, უნდა დამტკიცდეს გენერალური გეგმის სახით. 2018 წლის 31 დეკემბრამდე ყველა ხარვეზი უნდა აღმოიფხვრას, ამ მომენტში ვმუშაობთ სატრანსპორტო გზების ნუმერაციასთან დაკავშირებით. თავიდანვე დავუშვით, რომ რუკებთან დაკავშირებით ხარვეზი იქნებოდა, ამიტომ ავიღეთ ვადა 31 დეკემბრამდე. დიდი კორექტირებები შემდგომში აღარ მოხდება. რაც შეეხება შეკითხვას საგადასახადო შეღავათებთან დაკავშირებით, აღნიშნული არ არის გენერალური გეგმის თემა.

ი.ნადირაძე - თუ გაქვთ დათვლილი ამ გენ.გეგმის დავალების შესაბამისად რამდენი ჰექტარი მიწის გამოსყიდვა მოგიწევთ კერძო მესაკუთრეებისგან.

მ.ბითაძე - მიწების გამოსყიდვასთან დაკავშირებით ქონების მართვის სააგენტო თანხობრივად ამუშავებს საკითხს. შეკვეთილი გვაქვს კვლევა განაშენიანების გავლენის შესახებ თბილისის ზღვის მიმდებარედ. კვლევის შედეგებს გამოვიყენებთ შემდეგში ჩარჩო გეგმის შედგენის დროს.

- კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს წარმოდგენილი ინფორმაცია.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე **თედო ისაკაძე**